ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3662467

ნომერი: AR1548697

თარიღი : 14.10.2017

გაცემის თარიღი : 06.11.2017

გაცნობის თარიღი : 06.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 9 , (ნაკვეთი N56/43) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ პაპისმედოვი პ/ნ 01012000873
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 191

ორგანიზაცია:

- შპს ნიუ ლიაფ კოდი: 406217829

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 14 ოქტომბრის №AR1548697 განცხადებით მომართა ბესიკ პაპისმედოვმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბაღდადის, ქუჩა N9-ში, (ნაკვეთი N56/43) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ: №01.17.13.056.062 მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 26 ივნისიდან 2020 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,ჯეობილდი'' (ს/კ: №406159632).

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების შეტანას და შპს ,,საქართველო ისრაელის ბიზნეს ჯგუფის" (ს/კ: №406159632) დაფიქსირებას. შპს ,,საქართველო ისრაელის ბიზნეს ჯგუფის" (ს/კ: №406159632) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: №B17108946, 2017 წლის 03 ოქტომბერი, 12:29:03) მიხედვით წარმოადგენს გურამ თეთრაშვილი, რომელიც დარეგისტრირებულია თანაგანმცხადებლად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ შეტანილ იქნა ცვლილება შპს ,,ჯეობილდის'' (ს/კ: №406159632საფირმო სახელწოდებაში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,შპს ,,საქართველო ისრაელის ბიზნეს ჯგუფი" (ს/კ: №406159632).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

იმ გარემოებიდან გათვალისწინებით, რომ სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებაში დაფიქსირებულ დამკვეთს შპს ,,ჯეობილდს'' შეეცვალა სახელწოდება და განახლებული სახელწოდებაა ,,შპს ,,საქართველო ისრაელის ბიზნეს ჯგუფი", სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,საქართველო ისრაელის ბიზნეს ჯგუფი" (ს/კ: №406159632).
2. სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის №3348768 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.